საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი
სოციალური მიმართულებით
საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი #2

ქ. ბათუმი 12 თებერვალი 2020 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები სოციალური მიმართულებით:

1. ირაკლი გორგილაძე;
2. გულიკო კაჟაშვილი;
3. რუსლან ბარამიძე;
4. გურამ გვარიშვილი
5. ლაშა ბაჟუნაიშვილი

დღის წესრიგი:

1. ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №01-02/215 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში ბსუ-ში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში სოციალური მიმართულებით 4 (ოთხი) წარმოდგენილი პროექტის განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს: 1. კომისიის წევრის რუსლან ბარამიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი "აჭარის რეგიონის ეკომიგრანტების ადაპტაციის და ინტეგრაციის პრობლემები ადგილობრივ თემებში: გამოწვევები და გადაჭრის გზები (გურიის რეგიონის მაგალითზე)", ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა. ინეზა ზოიძე, სამეცნიერო ხელმძღვანელი,
ბ. ირაკლი მანველიძე,
გ. ლევან ჯაყელი,
დ. ნატალია ლაზბა,
ე. ირინე ცინცაძე.

დამხმარე პერსონალი:

ა. გიორგი ბროლაძე, სტუდენტი.
პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 20.000 (ოცი ათასი) ლარი;

პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია:

კვლევა მიეკუთვნება ფუნდამენტური კვლევის კატეგორიას, რომლის შედეგად დადგინდება არა მარტო საკვლევი პრობლემის შესწავლის სამეცნიერო დონე, არამედ გამოვლინდება და ნაჩვენები იქნება ეკომიგრანტების ადაპტაციის, ინტეგრაციის, სამეურნეო ყოფითი, კულტურის ელემენტების კონსერვაციის საკითხები ადგილობრივ თემებში და სახელმწიფოს სტრატეგიის შეფასება გურიის რეგიონის მაგალითზე.

კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მეცნიერულ-შემეცნებითი, ისე გამოყენებითი კუთხით. თემის იდეები, განზოგადებები, დასკვნები ხელს შეუწყობს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის კიდევ უფრო მეტ აქტიურობას ამ კუთხით საქმიანობის გასაძლიერებლად. დღეს არსებული პრობლემები (ყოფითი, კონცეპტუალური, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური) აფერხებს ეკომიგრაციის პოლიტიკის წარმატებას სამომავლოდ. კვლევის შედეგები კი ხელისუფლებას დაეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, რათა არ შეანელოს ყურადღება ეკომიგრაციის მიმართულებით ხელშეწყობისათვის.

მიზნობრივ სამეცნიერო–კვლევით პროექტში შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებულია 8000 ლარი, საიდანაც 7450 ლარი მოდის პროექტის ძირითად პერსონალზე, ხოლო 550 ლარი გათვალისწინებულია პროექტის დამხმარე პერსონალისათვის. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შედეგების ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის გაცნობა, დაგეგმილია საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა რისთვისაც პროექტით გათვალისწინებულია თანხა 3500 ლარის ოდენობით. იგეგმება სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება მაღალრეფერირებადი საერთაშორისო გამოცემაში რისთვისაც ბიუჯეტში განსაზღვრულია 2500 ლარი. აღსანიშნავია რომ საკვლევი საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე პროექტის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია მივლინება სხვადასხვა ლოკაციაზე. მივლინების ხარჯი პროექტის ბიუჯეტის მიხედვით შეადგენს 6000 ლარს.

პროექტის განხორციელების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის თებერვალი–დეკემბრის თვე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრის რუსლან ბარამიძის განმარტებით:

წარმოდგენილი პროექტი ფუნდამენტური კვლევის ჩატარებას და ეკომიგრაციის პრობლემის კომპლექსურ შესწავლას ითვალისწინებს. გეგმა გრაფიკის შესაბამისად საპროექტო ჯგუფი პროექტის რეალიზებას 1 წლის განმავლობაში გეგმავს. პროექტში მონაწილეობენ სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტი. ამავდროულად, პროექტის რეალიზების რისკ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ დაგეგმილი კვლევის მოცულობა, მცირე პერიოდი და ის, რომ საპროექტო ჯგუფში არ არის წარმოდგენილი ყველა მიმართულების სპეციალისტი, რა მიმართულებითაც დაგეგმილია კვლევის შესრულება.

კომისიის წევრის გულიკო კაჟაშვილის განმარტებით:

პროექტი უდავოდ აქტუალურია. მნიშვნელოვანია მისი შედეგები საზოგადოების დაინტერესებული წევრებისათვის. შესაძლებელია მოხდეს პროექტში გაწერილი განსახორციელებელი საკითხების შინაარსობრივი გადალაგება, რაც თავის მხრივ გაადვილებს ამ მნიშვნელოვანი პროექტის დათქმულ ვადაში განხორციელებას.

კომისიის წევრის ლაშა ბაჟუნაიშვილის განმარტებით:

ინეზა ზოიძის მიერ წარმოდგენილი პროექტი შეიცავს სიახლის და აქტუალობის ელემენტებს. მასში წარმოდგენილი კვლევის მიზანი მოიცავს ისეთი საკითხების კვლევას, რომელთა ნაწილი აქამდე განხორციელებულ კვლევებში არ იყო წინ წამოწეული. თუმცა, პროექტში საკვლევად წარმოდგენილია ისეთი საკითხი, რომელის კომპეტენციაც პროექტის პერსონალს არ გააჩნია.

დაადგინეს:

წარმოდგენილი პროექტი მოცულობითია. მიზანშეწონილია პროექტში გაწერილი საკითხების ოპტიმიზაცია, რაც გაადვილებს დასახული მიზნების და ამოცანების დროში განხორციელებას.

კომისიის წევრების მიერ 2020 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში სოციალური მიმართულებით ინეზა ზოიძის პროექტი "აჭარის რეგიონის ეკომიგრანტების ადაპტაციის და ინტეგრაციის პრობლემები ადგილობრივ თემებში: გამოწვევები და გადაჭრის გზები (გურიის რეგიონის მაგალითზე)" შეფასდა 83 ქულით.

მოისმინეს: 2. კომისიის წევრის რუსლან ბარამიძის ინფორმაცია:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი "ქალაქის ქუჩების კერძო ავტოტრანსპორტისაგან განტვირთვის პრობლემატიკა და პერსპექტივა საქართველოში", ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა. ომარ ფარტენაძე, სამეცნიერო ხელმძღვანელი,

ბ. ლევან ჯაყელი,

დამხმარე პერსონალი:

ა. მარიამ ნაგერვაძე, სტუდენტი

ბ. გურამ კონცელიძე, სტუდენტი

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 20.000 (ოცი ათასი) ლარი;

პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია:

პროექტის ,,ქალაქის ქუჩების კერძო ავტოტრანსპორტისაგან განტვირთვის პრობლემატიკა და პერსპექტივა საქართველოში'' ბიუჯეტი 20 000 ლარი დანაწილებულია შემდეგი სახით: 8000 ლარი გათვალისწინებულია პროექტის მონაწილეთა შრომის ანაზღაურებისთვის, საიდანაც 4000 ლარი განკუთვნილია პროექტის მენეჯერისთვის, 2000 ლარი ძირითადი პერსონალისთვის და 1000-1000 ლარი დამხმარე პერსონალისთვის. პროქტის სამივლინებო ხარჯი შეადგენს 1000 ლარს. საქონელის და მომსახურების შესაძენად გათვალისწინებულია 6800 ლარი. პროექტი ასევე ითვალისწინებს ქალაქში გასვლითი ღონისძიებების დაგეგმას, რომელსაც მოხმარდება 1800 ლარი. 400 ლარი გათვალისწინებულია მრგვალი მაგიდის მოსაწყობად, ხოლო 2000 ლარით მოხმარდება კონგერენციის მოწყობას.

პროექტის განხორციელების ფარგლებში მოხდება სხვადასხვა ფორმატით მჭირდო თანამშრომლობა მუნიციპალიტეტთან, სამართალდამცავ ორგანოებთან, რათა ერთობლივი ხედვითა და ძალებით მოხდეს ქალაქში არსებული პრობლემის მოგვარება, რაც ავტოტრანსპორტის სიმრავლეს უკავშირდება.

კვლევის წარმატებით და შედეგიანად განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: დაკვირვება, აღწერა, ანალიზი სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირების მოწვევა მრგვალ მაგიდასთან დიალოგისთვის. პროექტის განხორციელების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის თებერვალი–დეკემბრის თვე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრის რუსლან ბარამიძის განმარტებით:

წარმოდგენილი პროექტი გამოყენებითი ხასიათისაა და მიმართულია კონკრეტული პრობლემის ანალიზისა და მის მოგვარებაზე. პროექტი ითვალისწინებს კონკრეტული აქტივობების განხორციელებას, თუმცა მასში არაა გამოკვეთილი კვლევითი კომპონენტი.

პროექტის რეალიზების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კონკრეტული პრობლემის შესახებ კვალიფიციური რეკომენდაციების მომზადება; ასევე უნივერსიტეტის საექსპერტო და კომერციული პოტენციალის განვითარება და ხელშეწყობა.

ამავდროულად, პროექტის რეალიზების რისკ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ არაა დაზუსტებული პროექტის ცალკეული დეტალი, ბუნდოვანია ბიუჯეტი და ა.შ.

კომისიის წევრის ლაშა ბაჟუნაიშვილის განმარტებით:

ომარ ფარტენაძის მიერ წარმოდგენილი პროექტის იდეა არის კარგი და ის მორგებულია ქალაქის საჭიროებებზე. აგრეთვე პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. თუმცა პროექტის განხორციელების კონკრეტული გეგმა და ბიუჯეტი, ასევე კვლევის კომპონეტი ბუნდოვნადაა წარმოჩენილი.

დაადგინეს:

პროექტის არის აქტუალური და მისი რეალიზება გადაუდებელ საჭიროებას წარმოდგენს ქალაქში არსებული ეკოლოგიური, სატრანსპორტო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემების მოსაგვარებლად. პროექტის გამოყენებითია, თუმცა კვლევითი კომპონენტი მოითხოვს კორექტირებას და დაზუსტებას. ასევე საჭიროა ბიუჯეტის (უმჯობესია კვლევის განსახორციელებლად მოხდეს ვიდეო თვალის შეძენა მითითებული ტექნიკის ნაცვლად) და პერსონალის (ურბანისტის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეცილიასტი, საინფორმაციო ტექოლოგიების სპეციალისტი და ა.შ.) ცვლილება. აქედან გამომდინარე, პროექტის დაზუსტებული ვერსიას შეიძლება გაეწიოს რეკომენდაცია გაეწიოს ინტერდისციპლინურ კომისიაში განსახილველად.

კომისიის წევრების მიერ 2020 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში სოციალური მიმართულებით ომარ ფარტენაძის პროექტი "ქალაქის ქუჩების კერძო ავტოტრანსპორტისაგან განტვირთვის პრობლემატიკა და პერსპექტივა საქართველოში" შეფასდა 78 ქულით.

მოისმინეს: 3. კომისიის წევრის რუსლან ბარამიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი "ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კვლევის მეთოდოლოგიის შექმნა (ბსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგალითზე)", ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა. ლალი ანთიძე, სამეცნიერო ხელმძღვანელი,
ბ. იაგო კაჭკაჭიშვილი,
გ. გიორგი მასალკინი,
დ. ორაკლი კორძაია,
ე. ვლადიმერ ღლონტი,
ვ. იმედა იაკოვენკო,
ზ. თეა დანელია.

დამხმარე პერსონალი:

ა. ბაია გაბედავა, სტუდენტი,
ბ. ელისაბედ დიასამძე, სტუდენტი,
გ. თინათინ შავლიძე, სტუდენტი.
მათგან მაგიტრატურის სტუდენტი: 3 (სამი).
პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 20.000 (ოცი ათასი) ლარი;

პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია:

კვლევის მიზანია გამოავლინოს, ერთი მხრივ, რამდენად ხარისხიან უმაღლეს განათლებას აწვდის ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს და და მეორე მხრივ, რა სახის მოთხოვნებს უყენებს შრომის ბაზარი ეკონომიკის და ბიზნესის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ქვეყანაში.

პროექტში მონაწილე პირთა ანაზღაურებისათვის განსაზღვრულია 18 300 ლარი, სატრანსპორტო და საკანცელარიო ხარჯი შეადგენს 700 ლარს, 1000 ლარი გამოყოფილია სტატიის გასამოქვეყნებლად.

პროექტის განხორციელების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის თებერვალი–ივნისი.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრის რუსლან ბარამიძის განმარტებით:

წარმოდგენილი პროექტის წინასწარი განხილვის დროს გამოვლინდა რომ:

1. პროექტის მთელი ბიუჯეტის 91,5% (18.300 ლარი) მიმართულია სახელფასო ანაზღაურებაზე, რაც ეწინააღმდეგება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების 8.2 მუხლს.
2. ბიუჯეტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.

დაადგინეს:
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის #36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების“ 6.1 მუხლის მიხედვით კომისიამ მოცემული პროექტის შეფასება არ მოახდინა ამავე დებულების 8.2 მუხლის გათვლისწინებით, რადგანაც პროექტით გასაცემის შრომის ანაზღაურება აღემატებოდა პროექტის ბიუჯეტის 40%-ს.

მოისმინეს: 4. კომისიის წევრის რუსლან ბარამიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი “საარჩევნო სისტემა და ევროპული საპარლამენტო მმართველობა საქართველოში”, ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:
ა. მალხაზ ნაკაშიძე, სამეცნიერო ხელმძღვანელი,

დამხმარე პერსონალი:
ა. თამილა ბროლაძე, სტუდენტი,

ბ. ნინო კვირიკაძე, სტუდენტი.
პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 13.604 (ცამეტი ათას ექვსას ოთხი) ლარი;

პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია:

თანამედროვე პირობებში საქართველოს სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ამ ამოცანის შესრულება მჭიდროდ არის დაკავშირებულია ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან, დასავლური ტიპის სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან, რაც არის ქართველი ხალხის არჩევანი და დაფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციაში. საქართველომ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ იქცა რეგიონში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის თვალსაზრისით.

წარმოგენილი კვლევის მიზნებია: ევროპული საპარლამენტო მმართველობის ქვეყნების საარჩევნო სისტემების შესახებ კანონმდებლობის და პრაქტიკის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი; ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საპარლამენტო არჩევნების სამართლიანი და პროპორციული საარჩევნო მოდელის ძირითადი ელემენტების განსაზღვრა; საქართველოში საპარლამენტო დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელი შესაბამისი საარჩევნო მოდელის შესახებ რეკომენდაციების მომზადება;

პროექტის ბიუჯეტიდან 5430 ლარი გათვალისწინებულია პერსონალის შრომითი ანაზღაურებისთვის. 4524 ლარი ესაჭიროება ქვეყნის გარეთ – ავსტრიაში მივლინებას კონფერენციაში მონაწილების მისაღებად, სადაც წარდგენილი იქნება კვლევის შედეგად მიღებული ნაშრომი. თბილისში მივლინების ხარჯი შეადგენს 1200 ლარს. საქონელი მომსახურებისთვის გათვალისწინებულია 2450 ლარი.

პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2020 წლის თებერვალი–დეკემბერში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრის რუსლან ბარამიძის განმარტებით:

წარმოდგენილი პროექტი წარმოადგენს აღწერილობითი ხასიათის კვლევას. ის ტექნიკურად ყველაზე გამართული და სრულფასოვანი განაცხადია. პროექტით გათვალისწინებულია არსებული პრაქტიკებისა და გამოცდილებისა შედარებითი ანალიზი. პროექტში ასევე გათვალისწინებულია უნივერსიტეტისათვის ლიტერატურის შეძენა, სასწავლო კურსის მოზადება. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ანალიზი შედარებული იქნება საქართველოში არსებულ გამოცდილებასთან. ამიტომ, პროექტის რეალიზების რისკ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ, ის რომ პროექტში ერთი ძირითადი პერსონალია, ხოლო დასმული პრობლემის აქტუალობის შენარჩუნება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე.

კომისიის წევრის ლაშა ბაჟუნაიშვილის განმარტებით:

მალხაზ ნაკაშიძის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც ეხება საქართველოს საარჩევნო სისტემის პრობლემატიკას, აქტუალურია, თუმცა კვლევის ნაწილში ის ვერ იქნება პერსპექტივაში მომგებიანი, რადგან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დასრულებისთანავე (ანუ, პროექტის დასრულებამდე) ის დაკარგავს აქტუალობას. გარდ ამისა, საკითხის ირგვლის აქტიურად მიმდინარეობს დისკუსიები და დებატები, როგორც პოლიტიკურ პარტიებს შორის, ისე აკადემიურ წრეებში.

დაადგინეს:

წარმოდგენილი პროექტი საინტერესოა და კავშირშია მიმდინარე თანამედროვე პროცესებთან; პროექტის ტექნიკურად გამართულია. ამავდროულად, პროექტის შედეგების მდგრადობა და მიღებული შედეგების გამოყენებადობა დამოკიდებულია სხვადასხვა ცვლადზე, რის გამოც მისი სამეცნიერო ღირებულება ასევე ცვლადია.

კომისიის წევრების მიერ 2020 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში სოციალური მიმართულებით მალხაზ ნაკაშიძის პროექტი "საარჩევნო სისტემა და ევროპული საპარლამენტო მმართველობა საქართველოში" შეფასდა 76.5 ქულით.

დაადგინეს:

1. კომისიის წევრების კენჭისყრის შედეგად ბსუ-ს 2020 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსის გამარჯვებულად სოციალური მიმართულებით გამოვლინდა ინეზა ზოიძის პროექტი "აჭარის რეგიონის ეკომიგრანტების ადაპტაციის და ინტეგრაციის პრობლემები ადგილობრივ თემებში: გამოწვევები და გადაჭრის გზები (გურიის რეგიონის მაგალითზე)", რომელმაც კომისიის მიერ მიიღო შეფასება 83 ქულა.

2. კომისიის წევრების კენჭისყრის შედეგად ბსუ-ს 2020 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსის ინტერდისციპლინურ კომისიაში დამატებითი პროექტის სახით განსახილველად გამოვლინდა ომარ ფარტენაძის პროექტი "ქალაქის ქუჩების კერძო ავტოტრანსპორტისაგან განტვირთვის პრობლემატიკა და პერსპექტივა საქართველოში" (დაზუსტებული ვერსია), რომელმაც კომისიის მიერ მიიღო შეფასება 78 ქულით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: _____

მდივანი: _____